

შეთანხმება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

ჩოხატაური

25 სექტემბერი 2020 წელი

ერთის მხრივ, **ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი **მერის ირაკლი კუჭავას** სახით და მეორე მხრივ **შპს ახალშენი**, წარმოდგენილი დირექტორის - დავით ბასილიას სახით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ინსპექტირების ჯგუფის თავმჯდომარის 2020 წლის 22 სექტემბრის N2504 მომართვისა და 2020 წლის 13 აგვისტოს №157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების (**NAT200009897**) მე-17 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. 2020 წლის 13 აგვისტოს №157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ვადა გაიზარდოს 25 კალენდარული დღით და ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 65 (სამოცდახუთი) კალენდარული დღის ვადაში 2020 წლის 13 აგვისტოდან 2020 წლის 17 ოქტომბრის ჩათვლით”
2. 2020 წლის 13 აგვისტოს №157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების ვადა გაიზარდოს 25 კალენდარული დღით და ხელშეკრულების მე-18 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 13 აგვისტოდან 2020 წლის 17 ნოემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე”
3. 2020 წლის 13 აგვისტოს №157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების სხვა პუნქტები დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე შეთანხმება წარმოადგენს 2020 წლის 13 აგვისტოს №157 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი

ს/კ 242008705
სახელმწიფო ხაზინა

მიმწოდებელი
მისამართი: თბილისი ბალანჩივაძის 39 ბ 65
საიდენტიფიკაციო კოდი: №404982131
ტელეფონის ნომერი: 595026373
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ანგარიშის ნომერი: GE25BG000000323933800
დირექტორი - დავით ბასილია

მუნიციპალიტეტის მერი
ირაკლი კუჭავა

N 2504

22/09/2020

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ირაკლი კუჭავას

ბატონო ირაკლი,

წარმოგიდგენთ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით განხორციელებული შესყიდვების (სამუშაოების, შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N17 ხელშეკრულების შესაბამისად გაწეული საზედამხედველო მომსახურების) მიღება-ჩაბარების მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მოხსენებით ბარათს.

დანართი: N7122 შ.პ.ს. „ახალშენი“-ს განცხადება და კომისიის დასკვნა.

პატივისცემით,

გიორგი ბერძენიშვილი


ჯგუფის თავმჯდომარე
ინსპექტირების ჯგუფი







ბატონო ირაკლი,

2020 წლის 18 სექტემბრის N7122 წერილით მოგვმართა შ.პ.ს. „ახალშენი“-ს დირექტორმა დავით ბასილიამ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული 2020 წლის 13 აგვისტოს N157 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, დაბა ბახმაროში, ცხრაწყაროს ტერიტორიაზე და ცხრაწყარო-ბახმაროს გზაზე ე.წ. „ლაშეს“ დელეს ტერიტორიაზე საპიკნიკე ადგილების, სავაჭრო დახლების და საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე. ვინაიდან პროექტი საჭიროებს კორექტირებას, ასევე ბახმაროს კლიმატიდან გამომდინარე, სადაც თითქმის ყოველდღიურად არის წვიმიანი ამინდები, რაც აფერხებს მუშაობის პროცესს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა გაუგრძელდეს 25 კალენდარული დღით.

პატივისცემით,

ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელი:  გ.ბერძენიშვილი

- წევრები:
1.  ვ.ლომთათიძე
 2.  ზ.ცინცაძე
 3.  ბ.სირაძე
 4.  შ.კაჭარავა

21.09.2020წ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

შპს. „ახალშენი“

ს/კ 404982131



LTD. "AKHALMSHENI"

s/k 404982131

ქ. თბილისი ბაზალანჩივადის 39-65

ტელ: 595056373

N 85

18.09.2020 წელი

*ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ ირაკლი კუჭავას*

ბატონო ირაკლი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტსა და შ.პ.ს „ახალშენს“-ს შორის გაფორმებული 2020 წლის 13 აგვისტოს N157 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებისას საჭირო ხდება ხარჯთაღრიცხვის კორექტირება, რის გამოც საჭირო ხდება ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაწევა.

გთხოვთ გაითვალისწინოთ აღნიშნული და 30 კალენდარული დღით გადამიწიოთ ხელშეკრულების შესრულების ვადა.

პატივისცემით,

შ.პ.ს „ახალშენი“-ის დირექტორი:

AKHALMSHENI LTD
Digitally signed by AKHALMSHENI LTD
Date: 2020.09.18 10:42:10 +04'00'

დავით ბასილია

